საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 10-03
08/01/2016

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2015 წლის 5 იანვრის N83-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესი“ ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საგარეო ურთიერთობების სამსახურსა და ფაკულტეტებს/სკოლებს წარმოადგინონ ინფორმაცია 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტთა და ასევე იმ სტუდენტთა შესახებ, რომლებსაც ეხებათ ეს წესი - გაცვლითი პროგრამის დაწყების, დამთავრების, მიმღები უნივერსიტეტისა და სხვა დამატებითი მონაცემების შესახებ, მათთვის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სტატუსის მინიჭების მიზნით.

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული წესი განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის გააცნოს ბრძანება უნივერსიტეტის სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსის“ საშუალებით.

6. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლებს, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,

ადმინისტრაციის სამდივნოს, განვითარების სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საგარეო ურთიერთებების სამსახურის, არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე და იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

N 1019-03
11/05/2016

რექტორის 2016 წლის 8 იანვრის N10-03 ბრძანებით ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულ დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 მაისის N7237-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2016 წლის 8 იანვრის N10-03 ბრძანებით დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესის მე-6 მუხლის ,,ზ“ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტები, რომლებიც ვერ მოაგროვებენ ან არ უღიარდებათ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სემესტრში 30 კრედიტი ან სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტი, არ იხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრულ სწავლის საფასურს. მათ უნარჩუნდებათ სასწავლო გრანტი და მობილობის დასრულების შემდეგ შეუძლიათ მისი გამოყენება“.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული ცვლილება გავრცელდეს 2015-2016 აკადემიურ წლის შემოდგომის სემესტრიდან გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გამგზავრებულ და მომავალში პროგრამაში მონაწილე სტუდენტებზე.

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ცვლილება განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის გააცნოს ბრძანება უნივერსიტეტის სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსის“ საშუალებით.

6. ამ ბრძანებაზე კონტროლი დაევალოთ ფაკულტეტების/სკოლების დეკანებს, საგარეო ურთიერთობის სამსახურსა და სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლებს, რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის სამდივნოს, განვითარების სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საგარეო ურთიერთებების სამსახურის, არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე და იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1475-03
14/07/2017

რექტორის 2016 წლის 8 იანვრის N10-03 ბრძანებით ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულ დანართში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტისა და საგარეო ურთიერთობების სამსახურის უფროსის 2017 წლის 11 ივლისის N11483-35 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება რექტორის 2016 წლის 8 იანვრის N10-03 ბრძანებით დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესის მე-6 მუხლის ,,ზ“ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ზ) სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტები, რომლებიც ვერ მოაგროვებენ ან არ უღიარდებათ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სემესტრში 30 კრედიტი ან სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტი, არ იხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრულ სწავლის საფასურს. მათ უნარჩუნდებათ სასწავლო გრანტი და მობილობის დასრულების შემდეგ შეუძლიათ მისი გამოყენება. ეს დათქმა ვრცელდება 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებამდე გაცვლით პროგრამაში მონაწილე სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებზე.“

2. რექტორის 2016 წლის 8 იანვრის N10-03 ბრძანებით დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესის მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,თ“ პუნქტი:

,,თ) 2017-2018 სასწავლო წლიდან გაცვლით პროგრამაში მონაწილე სასწავლო გრანტის მქონე ის სტუდენტები, რომლებიც ვერ მოაგროვებენ ან არ უღიარდებათ სასწავლო ხელშეკრულებით გაწერილ სასწავლო კურსებში კრედიტები(სემესტრში 30 კრედიტი ან სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტი) და რაც გამოწვეული იქნება მიმღები უნივერსიტეტის ბრალეულობთ, არ იხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრული სწავლების საფასურს გაცვლითი პერიოდის დასრულების შემდეგ შესაბამისი კურსის გავლაში. ხოლო 2017-2018 სასწალო წლიდან გაცვლით პროგრამაში მონაწილე სასწავლო გრანტის მქონე ის სტუდენტები, რომლებიც სასწავლო ხელშეკრულებით გაწერილ სასწავლო კურსებში ვერ მიიღებენ კრედიტებს უარყოფითი შეფასების გამო, გადაიხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრული სწავლის საფასურს უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.“

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ცვლილება და დამატება განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;

4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა;

5. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის გააცნოს ბრძანება უნივერსიტეტის სტუდენტებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსის“ საშუალებით.

6. ამ ბრძანებაზე კონტროლი დაევალოთ ფაკულტეტების/სკოლების დეკანებს, საგარეო ურთიერთობის სამსახურსა და სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს.

7. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლებს, რექტორის აპარატს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციის სამდივნოს, განვითარების სამსახურს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, სწავლების საფასურის აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საგარეო ურთიერთებების სამსახურის, არგუსის ადმინისტრატორს ცენტრალურ დონეზე და იურიდიულ სამსახურს.

გიგა ზედანია



რექტორი

დამტკიცებულია რექტორის 2016 წლის 8 იანვრის N10-03 ბრძანებით, შეტანილია ცვლილება 2016 წლის 11 მაისის N1019-03 ბრძანებითა და 2017 წლის 14 ივლისის N1475-03 ბრძანებით

დანართი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტის საუნივერსიტეტო პროცედურების ადმინისტრირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლით პროგრამად ითვლება უმაღლესი განათლების შესახებ კანონის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხოურ უნივერსიტეტს შორის ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე განხორციელებული გაცვლითი პროგრამები. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ ხდება ისუ-ს კურიკულუმის შესაბამისი საგნების არჩევა მიმღებ უნივერსიტეტში და კრედიტების აღიარების საკითხი რეგულირდება სტუდენტს, გამგზავნ და მიმღებ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებით.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსი

ა) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში გამარჯვებული სტუდენტის სტატუსი არის აქტიური ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში;

ბ) უნივერსიტეტის შიდა სტუდენტური ბაზების მართვისთვის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტს ენიჭება გაცვლითი სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 3. სტუდენტისათვის მხრიდან შეტყობინების განსაზღვრის ვადები და პროცედურა

ა) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, მიმღები უნივერსიტის მხრიდან თანხმობის მიღების შემდეგ, გამგზავრებამდე არაუმეტეს ერთი თვით და არაუგვიანეს ორი კვირით ადრე სტუდენტი წერს განცხადებას რექტორის სახელზე რათა მიენიჭოს გაცვლითი სტუდენტის სტატუსი;
ბ) განცხდებაში მითითებულ უნდა იყოს მიმღები უნივერსიტეტის დასახელება, გაცვლითი პროგრამის დასახელება, სწავლების საფეხური და მიმღებ უნივერსიტეტში სწავლის ვადები;
გ) მიმღები უნივერსიტეტიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს ქართულ ენაზე თარგმნილი და სანოტარო წესით დამოწმებული;
დ) განცხადება იგზავნება ფაკულტეტზე/სკოლაში და ფაკულტეტის/სკოლის თანხმობის შემთხვევაში დეკანი საკითხს წარუდგენს რექტორს შესაბამისი ბრძანების გამოსაცემად;
ე) რექტორის ბრძანებით ხდება სტუდენტისათვის გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

მუხლი 4. სტუდენტის შესახებ ინფორმაციის ადმინისტრირება პროგრამა „არგუსში“

ა) სტუდენტს არგუსში ეზღუდება საგნების არჩევის რეჟიმი;
ბ) სტუდენტის მიერ მიმღებ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტები/შეფასებები არგუსში აისახება სტუდენტის მხრიდან ოფიციალურად დადასტურებული დოკუმენტის წარმოდგენისა და აღიარების საფუძველზე(ნიშნების ფურცელი);

მუხლი 5. კრედიტების აღიარება

ა)ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მობილობის შემთხვევაში მიმღები უნივერსიტეტიდან ჩამოტანილი კრედიტების აღიარების მიზნით სტუდენტი მიმართავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, გაცვლითი პროგრამები რეგისტრირებულ უნდა იყოს განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში;

ბ) კრედიტების/შეფასების აღიარება ხდება კანონდმებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. სტუდენტის ფინანსური სტატუსი

ა) სტუდენტს მიმღებ უნივერსიტეტში ყოფნის პერიოდში ეხსნება სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება, იგი ამ პერიოდში არ იხდის სწავლის საფასურს;

ბ) გაცვლითი პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს უაქტიურდება სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება;

გ) იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობს ერთი სემესტრის განმავლობაში და წარმოადგენს მიღებულ 30 კრედიტს, რომელიც უღიარდება დადგენილი წესით, არ გადაიხდის ერთ სემესტრის სწავლის საფასურს, იგივე დათქმა ვრცელდება ორი და მეტი სემესტრის შესახებ.

დ) იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი პროგრამის მონაწილე სტუდეტი ვერ დაასრულებს სწავლას მასთან გაფორმებული ხელშკრულების მოქმედების ვადებში, მას უფორმდება ახალი ხელშეკრულება და იხდის სწავლის საფასურს იმ წელს ჩარიცხული სტუდენტებისათვის დადგენილი ოდენობის ფარგლებში- კრედიტის საფასურს უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით;

ე) თუ სტუდენტი მასთან მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში დაასრულებს სწავლას იგი არ იხდის მიმღებ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული და უნივერსიტეტში აღიარებული კრედიტების საფასურს;

ვ) იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს აქვს საშუალება მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში სწავლის დასრულებამდე დამატებით აიღოს სემესტრში 30 კრედიტზე და წლის განმავლობაში

60 კრედიტზე მეტი მაგრამ არაუმეტს 75 კრედიტისა იგი იხდის დამატებული კრედიტების საფასურს.

ზ) სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტები, რომლებიც ვერ მოაგროვებენ ან არ უღიარდებათ გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სემესტრში 30 კრედიტი ან სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტი, არ იხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრულ სწავლის საფასურს. მათ უნარჩუნდებათ სასწავლო გრანტი და მობილობის დასრულების შემდეგ შეუძლიათ მისი გამოყენება. ეს დათქმა ვრცელდება 2017-2018 სასწავლო წლის დაწყებამდე გაცვლით პროგრამაში მონაწილე სასწავლო გრანტის მქონე სტუდენტებზე.(ცვლილება 14.07.2017);

თ)2017-2018 სასწავლო წლიდან გაცვლით პროგრამაში მონაწილე სასწავლო გრანტის მქონე ის სტუდენტები, რომლებიც ვერ მოაგროვებენ ან არ უღიარდებათ სასწავლო ხელშეკრულებით გაწერილ სასწავლო კურსებში კრედიტები(სემესტრში 30 კრედიტი ან სასწავლო წლის განმავლობაში 60 კრედიტი) და რაც გამოწვეული იქნება მიმღები უნივერსიტეტის ბრალეულობთ, არ იხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრული სწავლების საფასურს გაცვლითი პერიოდის დასრულების შემდეგ შესაბამისი კურსის გავლაში. ხოლო 2017-2018 სასწალო წლიდან გაცვლით პროგრამაში მონაწილე სასწავლო გრანტის მქონე ის სტუდენტები, რომლებიც სასწავლო ხელშეკრულებით გაწერილ სასწავლო კურსებში ვერ მიიღებენ კრედიტებს უარყოფითი შეფასების გამო, გადაიხდიან დამატებითი კრედიტის/კრედიტების ან სემესტრული სწავლის საფასურს უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად. (დამატება 14.07.2017);

მუხლი 7. სახელმწიფო სტიპენდიაში მონაწილეობის წესი

სტუდენტი იღებს სახელმწიფო სტიპენდიას და მონაწილეობს მასში გამგზავრებამდე ბოლო სემესტრში მიღებული შეფასების მიხედვით.